განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 23 მაისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 16 აგვისტო, 2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204577582
დაწესებულების სახე	უნივერისტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მესამე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის დოქტორი 0707
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ლილი ხეჩუაშვილი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა ბურდული** საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ იმნაძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის დოქტორი.
  - ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს), რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს და ეტაპობრივად დალაგებული ორი კომპონენტისგან შედგება. ესენია: სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი (120 ECTS) კომპონენტები. ამასთან, სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (40 ECTS, სულ 8 სასწავლო კურსი) და არჩევითი (20 ECTS, სულ 4 სასწავლო კურსი) კურსებისგან. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს დოქტორანტის კოლოკვიუმებს (სულ სამი კოლოკვიუმი), სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას, ნაშრომის დაწერას, დაცვასა და პუბლიკაციას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.
  - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის კომპონენტების (ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის მდგენელები) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უპირატესად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტები დასახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა მიმდინარე წლის 23 მაისს.
  - ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, სადოქტორო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და ფინანსურ მენეჯერს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა. ვინაიდან დაწესებულება ამჟამად არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს, ვერ მოხერხდა მიმდინარე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია V სტანდარტთან, მეტწილ შესაბამისობაშია III და IV სტანდარტებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია I და II სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

  შემუშავდა რეკომენდაციების რამდენიმე ჯგუფი, რომელიც შეეხება:

  — პროგრამის დასახელებასა და აღწერას;

  — მიღების წინაპირობებს;

  — სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს;

  — პროგრამის სასწავლო კომპონენტსა და ცალკეულ კურსებს;

  — სასწავლო მასალასა და შეთავაზებულ ლიტერატურას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  — სასურველი იქნებოდა, დოქტორანტები არ შეიზღუდონ კვლევის პოზიტივისტური ჩარჩოთი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ კვლევას მოიაზრებს (როგორც დეკლარირებულია პროგრამის აღწერაში) და საშუალება მიეცეთ, სურვილის შემთხვევაში კვლევა დაგეგმონ და აწარმოონ სხვა მეთოდოლოგიური პარადიგმების ჩარჩოში, მაგალითად, სოციალური კონსტრუქტივიზმის კონტექსტში თვისებრივი ან/და შერეული მეთოდოლოგიით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  — საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება, რაც მიზნად ისახავს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; სტუდენტის იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს მისი კარიერის შექმნას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დეკლარირებული მიზნები — სოციალურ ფსიქოლოგიაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება და სოციალური გადახრების [sic], დევიაციური ქცევისა და კროსკულტურული ფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევის ხელშეწყობა, საქართველოს მოსახლეობის მულტიკულტურულობისა და რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით — ფაქტობრივად, შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომელიც გულისხმობს საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრების შენარჩუნებასა და მათი თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან შერწყმის უზრუნველყოფას, ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობის გამოყენებასა და მათ ჩართვას ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფაში. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას უნივერსიტეტის რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებელთან შეხვედრამ აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც მათ ურთიერთშესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და, ფაქტობრივად, მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სახელწოდება „ფსიქოლოგია" ძალზე ზოგადია; ასევე, დასახვეწია პროგრამის მიზნების აღწერის ფორმულირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია; • თვითშეფასების კითხვარი; • საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის რექტორთან პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის უფრო კონკრეტული სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ

შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, ხაზგასმას სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი საკითხების კვლევისადმი ინტერესს, როგორიცაა დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმართება.

- პროგრამის მიზნების აღწერაში ვკითხულობთ: „კვლევები განახორციელოს სოციალური გადახრების, დევიაციური ქცევისა და...." რეკომენდებულია მიზნის ფორმულირებიდან ამოღებულ იქნეს ტერმინი „სოციალური გადახრები" ან მეტად არამასტიგმატიზებელი ფორმულირებით ჩანაცვლდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: —

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): —

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის კომპონენტების (ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის მდგენელები) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, მეტწილად უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტები დასახვეწია, როგორიცაა ზოგიერთი კურსის შინაარსი, რამაც ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- უსდ-ის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- უსდ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

1. **სასწავლო კომპონენტი.** ვინაიდან სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსების სახით, რეკომენდებულია შეთავაზებული კურსები შეესაბამებოდეს სწავლების მესამე საფეხურის აღმწერით მოთხოვნილ სტანდარტებს, ზოგიერთი კურსი კი საჭიროებს გარკვეულ მოდიფიკაციას. უფრო კონკრეტულად:

1.1. ცალკეული კურსების შეუსაბამობა სწავლების მესამე საფეხურთან. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსის — სოციალური კვლევის მეთოდები — შინაარსი და სწავლის შედეგები არ შეესაბამება სწავლების მესამე საფეხურს და ახლოს დგას სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კვლევის მეთოდების კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

რეკომენდებულია, დოქტორანტურის სტუდენტებისთვის შესაბამისი კურსის/კურსების შეთავაზება, რომლის მიზანიც იქნება, მაგალითად, შერჩეული მეთოდების სიღრმისეულად სწავლება.

1.2. ცალკეული კურსები. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსის „სასკოლო განათლების სოციალური ფსიქოლოგია" კურსის მიზნები, სწავლის შედეგების ნაწილი და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს, კერძოდ:

კურსის აღწერასა და დარგობრივ კომპეტენციებში (ცოდნა და გაცნობიერება) განწყობის ცნებასა და მის კანონზომიერებებზეა საუბარი, თუმცა აღნიშნული საკითხები არსად გვხვდება კურსის შინაარსში. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული კურსის აღწერის, სწავლის შედეგებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება, რაც მიზნად ისახავს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; სტუდენტის იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს მისი კარიერის შექმნას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს), რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს და ეტაპობრივად დალაგებული ორი კომპონენტისგან შედგება. ესენია: სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი (120 ECTS) კომპონენტები. ამასთან, სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (40 ECTS, სულ 8 სასწავლო კურსი) და არჩევითი (20 ECTS, სულ 4 სასწავლო კურსი) კურსებისგან. რაც შეეხება კვლევით

კომპონენტს, ის მოიცავს დოქტორანტის კოლოკვიუმებს (სულ სამი კოლოკვიუმი), სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას, ნაშრომის დაწერას, დაცვასა და პუბლიკაციას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, წარმოდგენილი პროგრამა უფრო დახვეწილი იქნება გარკვეული სტრუქტურული მოდიფიკაციის შემდეგ. კერძოდ, მასში სავალდებულოდ არის წარმოდგენილი დიდი რაოდენობით სპეციფიკური კურსები, რომლებიც ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით ცოდნის გაღრმავების მიზანს ემსახურებიან. ამასთან, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ არის წარმოდგენილი ზოგიერთი კურსი, რომელიც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს კვლევის წარმოების კომპეტენციის განვითარებისთვის სწავლების მესამე საფეხურზე (იხ. ქვემოთ რეკომენდაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მიმდინარე დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები.

რეკომენდაციები:

1. **პროგრამის სტრუქტურა:** წარმოდგენილ პროგრამაში სასწავლო კომპონენტს 60 კრედიტი ეთმობა. ვინაიდან საუბარია სადოქტორო პროგრამაზე, რომლის ძირითად აქცენტს კვლევითი აქტივობა უნდა წარმოადგენდეს და, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტუდენტების მრავალფეროვანი ინტერესები კვლევითი თემატიკის მიმართულებით, რეკომენდებულია:

   1.1. **სასწავლო-კვლევითი კომპონენტების თანაფარდობა:** შემცირდეს სასწავლო კომპონენტის მოცულობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტისთვის განკუთვნილი საათების/კრედიტების რაოდენობა, ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების მესამე საფეხურს განეკუთვნება და სტუდენტის კვლევითი კომპეტენციების განვითარება/დახვეწას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო სასწავლო კომპონენტი მხოლოდ დამხმარე ფუნქციას უნდა ასრულებდეს სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელი ვიწრო დარგობრივი, სპეციფიკური ცოდნის უზრუნველყოფით.

   1.2. **სავალდებულო-არჩევითი კურსების თანაფარდობა:** თავის მხრივ, სასწავლო კომპონენტში შემცირდეს სავალდებულო კურსების რაოდენობა და გაიზარდოს არჩევითად შეთავაზებული კურსების რაოდენობა ანუ მეტი კრედიტი მიენიჭოს არჩევითი კურსების კომპონენტს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცეს მისი კვლევითი ინტერესების შესატყვისად შეარჩიოს სასწავლო კურსი.

   1.3. **კურსის დამატება.** პროგრამის აღწერაში გამოკვეთილია აქცენტი პოზიტივისტურ რაოდენობრივ კვლევაზე, რაც იმთავითვე გულისხმობს კვლევის რაოდენობრივი მეთოდებით მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და ანალიზს.

ამასთან, ვინაიდან სადოქტორო საფეხურზეა საუბარი, დგება ფსიქოლოგიაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდებულია სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ამგვარი კურსის დამატება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დოქტორანტები არ შეიზღუდონ კვლევის პოზიტივისტური ჩარჩოთი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ კვლევას მოიაზრებს (როგორც დეკლარირებულია პროგრამის აღწერაში) და საშუალება მიეცეთ, სურვილის შემთხვევაში კვლევა დაგეგმონ და აწარმოონ სხვა მეთოდოლოგიური პარადიგმების ჩარჩოში, მაგალითად, სოციალური კონსტრუქტივიზმის კონტექსტში თვისებრივი ან/და შერეული მეთოდოლოგიით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებელი სფეროებია განათლებისა და სამართლებრივ სექტორში არსებული სახელმწიფოებრივი და კერძო სტრუქტურები (სკოლები, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებლის სახლი, სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური ცენტრები, საბავშვო ბაღები, საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული საგანმანათლებლო ცენტრები, სემინარიები და სკოლები, სასჯელაღსრულების სისტემა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და კვლევითი ორგანიზაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მიმდინარე დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები;
- დამსაქმებლებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და, უპირატესად, ვიზიტის მსვლელობისას მიღებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში მონაწილეობდა აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან			×	

პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების, სწავლისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით. შესაძლებელია საშუალოდ 3-4 დოქტორანტის მიღება. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადოქტორო საბჭოს დებულებით განსაზღვრული მიღების წინაპირობებია: (ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ, ჰუმანიტარულ და ინტერდისციპლინურ მეცნიერებებში; (ბ) გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონის შესაბამისად. ამასთან, უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე), ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam); (გ) დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება პროგრამის შესაბამის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის წარმოდგენა; (დ) ასევე, მან წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან/სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელთან და წარმოადგინოს ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა მისი კვლევითი ინტერესების მიმართულების პროგრამასთან შესაბამისობის შესახებ; (ე) გასაუბრება სპეციალობაში (სოციალური ფსიქოლოგია), რომლისთვისაც აუცილებელია აპლიკანტმა წარმოადგინოს თავისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამის სამეცნიერო პროექტის რეზიუმე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აპლიკანტებისგან არ ითხოვს სამუშაო გამოცდილებას. მიუხედავად დეტალურად გაწერილი მიღების წესებისა, დასახვეწია პროგრამაზე მიღების ზოგიერთი წინაპირობა (იხ. რეკომენდაციები), რათა პროგრამამ უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა და, სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლებელი იქნეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

1. მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს გამოცდა ან ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა უცხო ენაში. ენების ჩამონათვალში მოცემულია ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები, რომელთა ცოდნაც აპლიკანტებს მოეთხოვებათ მინიმუმ B2 დონეზე. ამასთან, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები (იხ. ზემოთ) მხოლოდ ინგლისური ენის კომპეტენციას ასახავს. გარდა ამისა, ვინაიდან პროგრამაში შეთავაზებული პრაქტიკულად ყველა კურსში საკითხავ მასალად მითითებულია მხოლოდ რუსული და ინგლისური ლიტერატურა, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს, მაგალითად, გერმანულისა და ფრანგულის მცოდნე აპლიკანტებს.

   აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მიღების აღნიშნული წინაპირობის დაკონკრეტება და B2 დონეზე მოთხოვნილი ენების ჩამონათვალის ინგლისური და რუსული ენებით შემოსაზღვრა.

2. პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს გასაუბრება სპეციალობაში, კონკრეტულად სოციალურ ფსიქოლოგიაში. ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე განაცხადის შეტანის უფლება აქვს არამხოლოდ სოციალურ ფსიქოლოგიაში და, ზოგადად, ფსიქოლოგიაში მაგისტრის დიპლომის მქონე აპლიკანტებს, ამიტომ რეკომენდებულია გასაუბრება აპლიკანტთან გულისხმობდეს არა ფსიქოლოგიის რომელიმე კონკრეტულ დარგში ცოდნის შემოწმებას, არამედ, მაგალითად, აპლიკანტის მოტივაციის, გამოცდილების, პროფესიული განვითარების პოტენციალის, ინტერესებისა და სხვა მახასიათებლების შეფასებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაში გამოყენებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები შერჩეულია პროგრამის მიზნების შესაბამისად და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. სადოქტორო პროგრამაში ვრცლად არის აღწერილი ისეთი მეთოდები, როგორიცაა თეორიული მეცადინეობები, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, სემინარები, კოლოკვიუმები და პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სწავლა/სწავლების მეთოდების შერჩევის პრინციპები დასახვეწია (იხ. რეკომენდაცია).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების კითხვარი; • პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: მთელი რიგი კურსების სილაბუსებში დაფიქსირდა იდენტურად გაწერილი სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა სწავლის შედეგს უნდა იძლეოდეს მოცემული კურსების სილაბუსების მიხედვით. ასე მაგალითად, ისეთი განსხვავებული შინაარსის მქონე და სწავლის შედეგებზე გამსვლელი (სავალდებულო) კურსების სილაბუსებში, როგორებიცაა სოციალური კვლევის მეთოდები, კროსკულტურული ფსიქოლოგია, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია, წარმოდგენილია სწავლების ერთი და იგივე მეთოდები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების შერჩევისას მეტად ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება მოცემული კურსის შინაარსის თავისებურებებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამაში გამოიყენება საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი შეფასების სისტემა ქულათა ფიქსირებული სკალით (91-100 ფრიადი; 81-90 ძალიან კარგი; 71-80 კარგი; 61-70 დამაკმაყოფილებელი; 51-60 საკმარისი; 41-50 ვერ ჩააბარა გამოცდის გადაბარების უფლებით 0-40 ჩაიჭრა, კრედიტის მისაღებად სტუდენტი თავიდან გაივლის.) შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

თუმცა, მთელი რიგი კურსების, მაგალითად, კროსკულტურული ფსიქოლოგია, დევიაციური ქცევის ფსიქოლოგია, სოციალური კვლევის მეთოდები, ფარგლებში მოცემულია იდენტური შეფასების გზები: ახსნა და პრაქტიკული მაგალითების განხილვა ლექციაზე, ხოლო ზეპირი გამოკითხვა, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, წერითი დავალებები და პრაქტიკული მაგალითების განხილვა სემინარის/პრაქტიკული მეცადინეობის შემთხვევაში; ასევე, შუასემესტრული და დასკვნითი გამოცდები და რეფერატი წარმოდგენილია ყველა სილაბუსში იდენტური აღწერის თანხლებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;;
- თვითშეფასების კითხვარი.

რეკომენდაციები:

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია შეფასების მეთოდების შერჩევისას მეტად ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება მოცემული კურსის შინაარსის თავისებურებებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები და შესაბამისი კატეგორიები, რომლებსაც სტუდენტი სილაბუსების მეშვეობით ეცნობა. პროგრამის კოორდინატორი და განმახორციელებელი პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და შესამლო გაუმჯობესების გზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,			×	

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში დოქტორანტებისთვის იარსებებს დახმარების ისეთი სერვისები, როგორიცაა იურიდიული და სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინდივიდუალური კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და სამეცნიერო ხელმძღვანელთან. გარდა ამისა, ინდივიდუალურად შედგება სტუდენტის სამუშაო გეგმა სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და რაც წარმოადგენს დოქტორანტის შრომის შესაფასებელ დოკუმენტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გათვალისწინებულია დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში, კონსულტირების საათები კი — სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. აკადემიურ პერსონალი საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტთან ინდივიდუალურად განსაზღვრულ დღეებში მუშაობს მასთან შეთანხმების

საფუძველზე. კომუნიკაცია შესაძლებელია ელექტრონული ფოსტითაც. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობის საკონსულტაციო ფორმატს როგორც ცალკეული საგნების შესწავლისას, ისე — სამეცნიერო სტატიებზე მუშაობის, სემინარებისთვის თემების მომზადების, კოლოკვიუმებზე გამოსვლებისა და სადოქტორო ნაშრომის შესრულებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანთლებლო პროგრამა და სილაბუსები; • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება; • უნივერსიტეტის შინაგანაწესი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში, სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შედეგები წარადგინონ უნივერსიტეტისა და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე. წარმატებულმა დოქტორანტებმა მიიღონ წახალისებები. წარმოდგენილი პროგრამის დოქტორანტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და უნივერსიტეტის ეგიდით განხორციელებულ კვლევით პროექტებში, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას არ დაკონკრეტებულა, რომელ პროგრამებზე იყო საუბარი. ვინაიდან უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გამომცემლობა, ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის სფეროს ფარგლებში განხორციელებული კვლევითი მუშაობის შედეგების გამოქვეყნებას
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დაწესებულების რექტორთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი და მის მიერ შეთავაზებული პროგრამები ორიენტირებულია შრომის ბაზრის ინტერნაციონალიზაციაზე. პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, თუმცა ვიზიტის მსვლელობისას არ ყოფილა საუბარი იმაზე, კონკრეტულად რომელ პროექტებში ჩაერთვებიან აღნიშნული პროგრამის სტუდენტები (მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს ისრაელისა და თურქეთის ქართველ წარმომადგენლებთან). მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის აღწერიდან თუ შეთავაზებული აქტივობებიდან ნათლად არ იკვეთება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი კონკრეტული გზები (პუბლიკაციის მოთხოვნის გარდა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: • პროგრამის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის არსებითია დაგეგმილი კვლევების შედეგების ინტერნაციონალიზაციაც. შესაბამისად, რეკომენდებულია სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს დაემატოს, ადგილობრივის გარდა, საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა		x		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საკლასო ოთახები და აუდიტორიები აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერითა და პროექტორით. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული და ბიბლიოთეკის სივრცე. დღის განმავლობაში სტუდენტებს საშუალება აქვთ, რომ უნივერსიტეტის ტერიტორია, ბიბლიოთეკა და აუდიტორიები დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოიყენონ. უნივერსიტეტში დაცულია სახანძრო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტები. ვიზიტის მსვლელობისას ინახა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდები. ბიბლიოთეკართან გასაუბრებისას აღინიშნა და ინახა, რომ სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზაზე (მხოლოდ Web of Science-ზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილზე დათვალიერება; • პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებლთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 8 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, კერძოდ, ძირითადი პერსონალი და სამეცნიერო ხელმძღვანელები: 3 პროფესორი (2 ფსიქოლოგიის და 1 ისტორიის მიმართულებით), 2 ასოცირებული პროფესორი (1 ფსიქოლოგიის და 1 კულტუროლოგიის მიმართულებით) და 3 მოწვეული ლექტორი. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თითოეულ მათგანს აქვს სათანადო აკადემიური ხარისხი და საქმიანობის გამოცდილება და თავის დარგში რეალიზებულ პროფესიონალს წარმოადგენს, რაც, ფაქტობრივად, დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი პროფესიული ბიოგრაფიებითა და პუბლიკაციების ჩამონათვალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალთან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ადმინისტრაციული პოტენციალი, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ მმართველობით ორგანოებსა და სამსახურებს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ფაკულტეტების საბჭოები.

სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებას, რომელიც განახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, გააჩნია კვალიფიციური დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში წიგნების ელექტრონული კატალოგი არსებობს და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით. სტუდენტს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ–კვლევით და საბიბლიოთეკო ბაზაზე (Web of Science-ზე). ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენა ხდება გამოცემების გამოსვლისთანავე. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია საკმაოდ მოძველებული სახელმძღვანელოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კურსების სილაბუსები; • ბიბლიოთეკის დათვალიერება; • აკადემიურ პერსონალთან გასაუბრება; • ბიბლიოთეკართან გასაუბრება.
რეკომენდაციები: • სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მაქსიმალურად ახალი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია როგორც კურსების სილაბუსებში შეტანილი სახელმძღვანელოების განახლება, ისე — ელექტრონული ბაზების გამრავალფეროვნება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამას ახორციელებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ბიუჯეტი, რომლითაც არის უზრუნველყოფილი აღნიშნული პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის რექტორთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი „დაგეგმე — განახორციელე — შეამოწმე — განავითარე". საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთად და შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ეხმარება უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა დამონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგების გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები რამდენიმე საფეხურს მოიცავს და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების, აკადემიური პროცესის აკადემიური პერსონალის, კურიკულუმის და ა. შ. მონიტორინგის პროცესს მოიაზრებს. ვიზიტის მსვლელობისას აღინიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროგრამის მომზადებაში — თითოეული სილაბუსისა და სასწავლო თუ კვლევით კომპონენტში შემავალი აქტივობის დაგეგმვაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაცია; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების პერიოდული შეფასება. პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის/უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. პროგრამის შექმნისას ანალოგიური პროგრამის გამოყენების თაობაზე დაწესებულების წარმომაგენლებს არ უსაუბრიათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტში არსებული დოკუმენტაცია; • სადოქტორო სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 25

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			×	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			×	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		×		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		×		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
წევრ(ებ)ის ხელმოწერები:

თ. იმნაძე

ნ. ზუხლეტლი